

სამოქალაქო საზოგადოება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისთვის საქართველოში

განხორციელების ვადა: 01.02.2021 - 31.01.2023

EaP ქვეყნები:

Georgia

ევროკავშირის
წვლილი: € 551 599

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):

Youth Organisation Changes For Equal Rights

პროექტის
ვებგვერდი: <http://www.disability.ge/>

პროექტის აღწერა:

პროექტის, სამოქალაქო საზოგადოება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისთვის საქართველოში, ძირითადი მიზანია სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის მართლმსაჯულებაზე წვდომის გაუმჯობესებისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრისთვის მიზნით, იურიდიული სერვისების განვითარებითა და ეფექტური ადვოკატირების მეშვეობით, სადაც განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება შშმ ქალებსა და ეთნიკურ უმცირესობებზე.

პროექტის ფარგლებში შეიქმნება ადვოკატირების ჯგუფები იურისტების, თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და უფლებადამცველების შემადგენლობით. ისინი განახორციელებენ ვებზე, გამოავლენენ და შეისწავლიან მრავალმხრივი ნიშნით, ანუ შეზღუდული შესაძლებლობის, ეთნიკურობის და გენდერული ნიშნით წარმომადგენელ დისკრიმინაციის ფაქტებს, მოიძიებენ საქმის გარშემო მტკიცებულებებს, მოამზადებენ სარჩელს და უზრუნველყოფენ სასამართლოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წარმომადგენლობას.

აღნიშნული ჯგუფები ასევე ყველა მსურველს გაუწევენ იურიდიულ კონსულტაციას და სხვადასხვა სახის დახმარებას, როგორცაა შუამდგომლობა, განცხადების დანერგვა, მიმართვების შედგენა და ა.შ. სამართლებრივი ჯგუფები იმუშავებენ თბილისში, აჭარასა და კახეთში მცხოვრებ ყველაზე მეტად მარგინალიზებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან და რეგულარული იურიდიული კლინიკების განხორციელებით, ხელს შეუწყობენ როგორც კონკრეტული შეზღუდული

მოსალოდნელი შედეგები:

- ეფექტური ადვოკატირებისა და იურიდიული მომსახურების უზრუნველყოფის გზით, სამოქალაქო საზოგადოების გაზრდილი კვალიფიკაცია მართლმსაჯულებაზე უკეთესი წვდომისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა) დისკრიმინაციის შემთხვევების გადანყვეტის მიზნით.

- ცნობიერების ამაღლების, სტრატეგიული სამართალწარმოებისა და იურისტთა, მოსამართლეთა, ადვოკატთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონდა პირთა კვალიფიკაციის ამაღლების გზით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა) მიერ მართლმსაჯულებაზე გაზრდილი წვდომა.

- პროექტის რეგიონებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციების გაზრდილი კვალიფიკაცია და შესაძლებლობები, რომელიც ხელს შეუწყობს ადგილობრივ დონეზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (კერძოდ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა) გაძლიერებასა და მათი უფლებების ეფექტურ ადვოკატირებას.

- საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ქმედუნარიანობის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობა.



სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:

<https://www.facebook.com/Dpo.CtU>,

<https://www.facebook.com/cilkdc>